თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №26

27 აპრილი, 2018 წელი
ქ. თეთრიწყარო

„მუნიციპალიტეტის საკუთრებად რიცხული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ' თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 აპრილის N 23 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე

მუხლი 1.

შეტანილი იქნეს ცვლილება „მუნიციპალიტეტის საკუთრებად რიცხული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ' თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 აპრილის N 23 განკარგულების პირველ მუხლში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1.

ნება დაერთოს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერს მიიღოს გადაწყვეტილება, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ კოდაში მდებარე თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების (ს/კN84.06.33.467) - 626.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-ის ნაწილის, 64 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით ააიპ „ასოციაცია სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის" 1 წლის ვადით გადაცემის თაობაზე და განახორციელოს შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება კანონმდებლობის შესაბამისად."

მუხლი 2.

განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ.თეთრიწყარო, კოსტავას ქ. N11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად, მისი მიღებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

გოჩა თედორაძე

საკრებულოს თავმჯდომარე